ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობა

პოლიტიკის დოკუმენტი

2023

პოლიტიკის დოკუმენტი მომზადებულია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის მიერ, ერთობლივი პროგრამის გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს დონორი ორგანიზაციების თვალსაზრისს.

ავტორი: ანა აბაშიძე
რედაქტორი: ნინო ბექიშვილი

სარჩევი

შესავალი 4

სახელმწიფო პოლიტიკა 4

მრავალფეროვანი საქართველო და გამოწვევები 5

- კავშირი მართლმსაჯულებასთან 5
- ინფორმაციაზე წვდომა 6
- განათლება და მართლმსაჯულება 6
- იურიდიული მომსახურება 7
- სამართალდამცავი უწყებები და სასამართლო 8

შეჯამება 9

- რეკომენდაციები 10

შესავალი

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია მიმოიხილოს საქართველოში მცხოვრები განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების მქონე მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობა, განსაკუთრებით ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც უმცირესობების წარმომადგენლები დგანან მართლმსაჯულების და სასამართლოს სისტემასთან ურთიერთობის დროს.

ამ მიზნით, დოკუმენტი, ერთი მხრივ, აღწერს პრობლემას და აგრეთვე სთავაზობს რეკომენდაციებს, რომელიც შექმნის მულტიეთნიკურ გარემოს და გაზრდის მართლმსაჯულების ხარისხს განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების მქონე ადამიანებისთვის.

სახელმწიფო პოლიტიკა

სამართლის წინაშე ყველა თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.[1]

2015 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომელიც მოიცავს მდგრადი განვითარების 17 მიზანს.

საქართველოს მთავრობამ მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების ნაციონალიზაცია და ქვეყნისთვის მისადაგებული ინდიკატორები შეიმუშავა.[2] მათ შორის უმნიშვნელოვანესია *ინკლუზიის, თანასწორობის* და *განათლების* მიზნები საქართველოში მცხოვრები ქვეყნის მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის.

გამოწვევების საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ასევე შეიმუშავა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022-2030 წლებისთვის). სტრატეგიის მესამე პრიორიტეტული მიმართულება სრულად ეხება თანასწორობის და უმცირესობათა დაცვის მიზანს. სტრატეგია აღიარებს ეთნიკურ უმცირესობათა წინაშე არსებულ გამოწვევებს განსაკუთრებით, დისკრიმინაციის, განათლებაზე წვდომის, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის და საჯარო სექტორში დასაქმების მხრივ.

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 11.
[2] მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი https://www.gov.ge/files/524_74242_575286_2328.pdf ნახვა, 06.12.2023

საქართველოს მთავრობამ ასევე შექმნა სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის 2021-2030 სტრატეგია[3], რომლის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

1. სახელმწიფო ენის სწავლება;
2. განათლების ხელმისაწვდომობა;
3. თანასწორობა და პოლიტიკური მონაწილეობა;
4. სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია;
5. კულტურათაშორისი დიალოგი.

მრავალფეროვანი საქართველო და გამოწვევები

ერთი შეხედვით, სახელმწიფო პოლიტიკა პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე არსებულ გამოწვევებს, თუმცა ეთნიკურ უმცირესობათა გარიყულობა, ნეგატიური დამოკიდებულებები და სახელმწიფო სერვისებით, მათ შორის, მართლმსაჯულებით თანაბარი სარგებლობა მათთვის კვლავ პრობლემად რჩება.

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებით[4], საქართველოში ეთნიკური უმცირესობები მთლიანი მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენს. მათ შორის უმრავლესობას აზერბაიჯანელები (6%) და სომხები (5%) წარმოადგენენ, რომელთაც ენის ბარიერიც აქვთ.

ძირითადი გამოწვევები, რაც განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების მქონე საქართველოს მოქალაქეებს აქვთ, არის მათი *გარიყულობა, ქართული ენის სრულყოფილად ცოდნის ნაკლებობა, უწყვეტ განათლებაზე და ინფორმაციაზე წვდომის სირთულე და პოლიტიკურ/სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი.*

კავშირი მართლმსაჯულებასთან

საგულისხმოა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დიდი ნაწილი მართლმსაჯულების ეფექტურობის და სამართლიანობის ხარისხის ზრდას უკავშირდება. თუმცა მართლმსაჯულების პრიორიტეტულ მიზნებში, გამონაკლისების გარდა (ძირითადი აქცენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების საჭიროებებზეა) ვერსად ამოვიკითხავთ ეთნიკური უმცირესობების ინტერესებთან მართლმსაჯულების სტრატეგიული მიმართულებების კვეთას. რაც გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფო არ ან ვერ აკავშირებს განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების მქონე მოქალაქეების უფლებრივ პრობლემებს ისეთ დემოკრატიულ გარანტიასთან, როგორიცაა გამართული, სამართლიანი მართლმსაჯულება და თანაბარი სარგებლიანობა ყველასთვის. ამგვარი პოლიტიკური იგნორირება (ნებსითი ან უნებლიე) ინარჩუნებს ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენელი საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების დაბალ ხარისხს და მათ სეგრეგაციას დომინანტური ეთნიკური მოსახლეობისგან.

[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5215561?publication=0 ნახვა, 06.12.2023
[4] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/739/demografiuli-da-sotsialuri-makhasiateblebi ნახვა, 06.12.2023

ინფორმაციაზე წვდომა

შეუძლებელია რომელიმე ფუნდამენტური უფლებით თანასწორი და თავისუფალი სარგებლობა, თუ არ არის დაკმაყოფილებული ამ უფლებების რეალიზებისთვის მთავარი წინაპირობა, მათ შორის, **ინფორმაციის მოპოვების, მიღების, და გამოყენების შესაძლებლობა.** განსხვავებული ეთნიკური კუთვნილების მქონე საქართველოს მოქალაქეებს საქართველოში აქვთ ლინგვისტური ბარიერი, რასაც ქართული ენის სრულყოფილად ფლობის პრობლემა ქმნის. საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციათა, მათ შორის, საკანონმდებლო და იურიდიული დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაციის უმრავლესობა მოქალაქეებისთვის მისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. შესაბამისად, უმცირესობათა წარმომადგენლებს არ ეძლევათ თანაბარი შესაძლებლობა ინფორმაცია მოიძიონ მისთვის გასაგებ ენაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო მაცნე[5], როგორც ქართულ საკანონმდებლო ბაზაზე ელექტრონულად წვდომის სისტემა, ამუშავებს ინფორმაციას რუსულ ენაზეც, რაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოქალაქეებისთვის მისაწვდომობის გარკვეულ ხარისხს უზრუნველყოფს, რაც დადებითი შეიძლება შეფასდეს.

ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ასევე მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის, პოლიტიკური და სამოქალაქო მონაწილეობის შესაძლებლობების გასაზრდელად. ამ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ისინი შუამავალი რგოლის როლს ასრულებენ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

მაღალია ეთნიკური უმცირესობების ნდობა მედიის მიმართ და ქართული საინფორმაციო საშუალებები კულტურულ-პოლიტიკური „იდენტობის განცდის“ ჩამოყალიბების და მოქალაქის უფლებრივი ინფორმირების პროცესში, შესაძლოა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი აღმოჩნდეს.[6]

განათლება და მართლმსაჯულება

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების თითქმის მეხუთედი (18%) არასრულ საშუალო განათლებას ფლობს, ხოლო თითქმის ნახევარი (47%) – სრულ საშუალოს. უმაღლესი განათლება გამოკითხულთა მხოლოდ 16%-ს აქვს.[7]

დაწყებითი და საშუალო განათლება საბაზისო მინიმუმია, რაც ბავშვს აძლევს ერთი მხრივ, განვითარების, მინიმალური ცოდნის მიღების საშუალებას, მეორე მხრივ კი ინტეგრირებული დაწყებითი და საშუალო განათლება ეთნიკური უმცირესობებისთვის

[5] https://matsne.gov.ge/ka

[6] სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და ფონდი ღია საზოგადოება საქართველო 2019, 14.

[7] ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სიტემური გამოწვევები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2020

საუკეთესო გზაა სრულყოფილად დაეუფლონ სახელმწიფო ენას, რაც დღეს საქართველოში გამოწვევაა.

ენობრივი ბარიერის პრობლემა ეთნიკური უმცირესობების მართლმსაჯულების (არამარტო) პროცესებიდან გარიყვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინდიკატორია. პირებისთვის, რომლებიც დაკავშირებულები არიან სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან და არ ფლობენ ქართულ ენას, მართლმსაჯულების ხარისხი და დაცვის შესაძლებლობა გაცილებით ნაკლებია. ამასთან პირდაპირ დაკავშირებულია საქმეთა გამოძიების ან/და სასამართლო განხილვის დროს მასალებზე დაუბრკოლებელი წვდომის და გაცნობის საშუალება. როგორც წესი, ადმინისტრაციული ორგანოები არ უზრუნველყოფენ საქმის მასალების თარგმნას უმცირესობებისთვის სასურველ ენაზე, კომუნიკაციისთვის პროცესებში მხოლოდ თარჯიმნის ჩართვაა შესაძლებელი, რაც ზღუდავს ხარისხიანი დაცვის უფლებას და მეორე მხრივ, ზრდის მოქალაქის ფინანსურ ხარჯებს. ის იძულებულია თარჯიმნის საშუალებით გაეცნოს საქმის მასალებს და შეძლოს პროცესებში ჩართვა საკუთარი უფლებების დასაცავად.

რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, უმაღლესი განათლების სისტემაზე წვდომა უდავოდ ზრდის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორ შესაძლებლობებს და კონკურენციის ხარისხს სხვებთან მიმართებით, რაც ინკლუზიური და ჰარმონიული საზოგადოებრივი თანაცხოვრების ერთ-ერთი წინაპირობაა. ასევე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პროფესიონალები აქტიურად შევიდნენ მართლმსაჯულების სისტემაში და ამით ხელი შეეწყოს მულტიეთნიკურ მართლმსაჯულებას.

იურიდიული მომსახურება

მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდის მიზნით და სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისთვის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის, მისაწვდომი, ეთნიკურ კუთვნილებაზე ორიენტირებული და მგრძნობიარე იურიდიული დახმარების სერვისების არსებობა.

მისაწვდომობის მინიმალური კომპონენტი ინფორმაციულ მისაწვდომობას გულისხმობს. საქართველოში კარგ პრაქტიკას წარმოადგენს უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ონლაინ საინფორმაციო ბაზის ენობრივი მისაწვდომობა. იმის გათვალისწინებით, რომ უმცირესობათა უმეტესობა აგრეთვე საუბრობს რუსულ ენაზე, სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული მასალის მიწოდება ალტერნატიულ ენაზე ინფორმაციაზე მისაწვდომობას ზრდის.

იურიდიული მომსახურებების სისტემური გაუმჯობესებისთვის აუცილებელია იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების უწყვეტი პროფესიული მომზადება მათ შორის ეთნიკური მრავალფეროვნების, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებების, რელიგიური თუ ეთნიკური სპეციფიკის და სხვა ტრადიციული და კულტურული განსხვავებების გაცნობის მიმართულებით. ამ

თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ადვოკატთა ასოციაციის როლი ადვოკატთა იურიდიული მომსახურების ხარისხის გაზრდაში. თუმცა, რეფორმები საჭიროებების სრულყოფილ კვლევას უნდა დაეფუძნოს.

მაღალი ხარისხის იურიდიული მომსახურება აუცილებელია ითვალისწინებდეს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან დაცულ სერვისს. ამის გარანტი კი ადვოკატთა და იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების ეთიკის კოდექსებია (მოსამართლის, პროკურორის ეთიკა). მაგალითად, ადვოკატთა ეთიკის კოდექსი ექსპლიციტურად არ კრძალავს კლიენტის მიმართ დისკრიმინაციულ ქცევას ან მომსახურებას, რაც ასევე არ არეგულირებს უმცირესობათა იდენტობის პატივისცემის და მომსახურების დროს მისი გათვალისწინების აუცილებელ პროფესიულ წესებს. პრობლემას ქმნის აგრეთვე ისიც, რომ იურისტები, რომლებიც იურიდიულ კონსულტაციას უწევენ მოქალაქეებს, არ არიან შეზღუდულები, რადგან მათზე არ ვრცელდება ადვოკატის ეთიკის წესები, რაც სრულიად დაუცველს ხდის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ მოქალაქეს შეუფერებელი და დისკრიმინაციული იურიდიული მომსახურებისგან. მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით საგანმანათლებლო და სხვაგვარი რეფორმის აუცილებლობაზე მსჯელობის დაწყება.[8]

სამართალდამცავი უწყებები და სასამართლო

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები საუბრობენ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე პოლიციასთან და საგამოძიებო უწყებებთან კომუნიკაციის დროს. განსაკუთრებით მწვავეა შემთხვევები მაშინ, როცა არსებობს ენის ბარიერიც.

ყველაზე ხშირი და აგრესიული ფორმით ჩატარებული ჩხრეკის გამოცდილებაზე ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტები საუბრობენ. ეთნიკურად აზერბაიჯანელი რესპონდენტების გამოცდილებით, ქართული ენის არცოდნის შემთხვევებში, სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა აგრესიული ქმედება უფრო იზრდება. *„უფრო აგრესიულები არიან, როდესაც ხედავენ, რომ ქართულად კარგად ვერ საუბრობ. უნივერსიტეტში როდესაც ჩავაბარე, ქუჩაში თითქმის ყოველთვის მაჩერებდნენ და მამოწმებდნენ პოლიციელები“* (ეთნიკური აზერბაიჯანელი რესპონდენტი, ქვემო ქართლი)[9].

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა შეფასებით, ხშირია გამოუძიებელი საქმეები, როცა დაზარალებული ეთნიკურ უმცირესობას ეკუთვნის. მათი გამოცდილებით, განსაკუთრებით პრობლემურია გამოძიების დაწყება და სამართალდამცველების დარწმუნება „ძიების დასაწყებად“. საინტერესოა, რომ

[8] MINORITIES IN THE CRIMINAL JUSTICE SYSTEM Contribution of the United Nations Network on Racial Discrimination and Protection of Minorities to the Eighth session of the Forum on Minority Issues, p.8

[9] ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რასობრივი გამორჩევა საქართველოში, საპოლიციო სისტემაში ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა, გვ. 33. 2021 https://tdi.ge/sites/default/files/rasobrivi_gamorcheva_sakartveloshi.pdf ნახვა, 06.12.2023

გამოკითხულთა შეფასებით, მედიას განსაკუთრებით პოზიტიური გავლენა აქვს გამოსაძიებელ საქმეთა წარმატებით წარმართვაზე.[10]

ადვოკატები როგორც კერძო, ისე არასამთავრობო და უფასო იურიდიული დახმარების სამსახურიდან აღნიშნავენ, რომ ეთნიკური უმცირესობებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქე ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას სისტემატური ხასიათი აქვს. უმრავლეს შემთხვევაში ბრალდების მხარე ითხოვს პატიმრობას, შაბლონურად ერთი და იმავე საფუძვლით – რომ არსებობს საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლის რისკი. სასამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებს ბრალდების მხარის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილ პატიმრობას. უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი აღნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში მხარეები საპროცესო შეთანხმებას აღწევენ და დისკრიმინაციულად თვლის იმ ფაქტს, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიმართ უფრო მეტად იყენებენ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას. [11]

საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მიმართ დამაზიანებელი სტერეოტიპული დამოკიდებულებები გამონაკლისი არ არის. პოლიციელები, როგორც წესი, საზოგადოების ზოგად განწყობებს გამოხატავენ და მათი ქცევა და დამოკიდებულებებიც ხშირად სწორედ სტერეოტიპებისგანაა ნაკარნახევი. რაც არსებითად აზიანებს უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესს საზოგადოებაში. ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციისგან ჩაგვრის პრევენციისთვის აუცილებელია გაიზარდოს სამართალდამცავების ანგარიშვალდებულების ხარისხი.[12]

ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკას სისტემაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების შედინება წარმოადგენს, რაც ქმნის მულტიეთნიკურ გარემოს და ზრდის სისტემის ეფექტურობას.[13]

აგრეთვე აუცილებელია, სამართალდამცავი უწყებების და სასამართლო სისტემის წარმომადგენლების პერიოდული გადამზადება, უპირველესად, არასწორი რწმენა-წარმოდგენების შესაცვლელად.

შეჯამება

წარმატებული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი გულისხმობს უმცირესობებისინტეგრირებას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ

[10] იქვე, გვ. 35
[11] იქვე, გვ. 36
[12] *See* UNODC Handbook on Police Accountability, oversight and Integrity and UNODC/UNHABITAT Handbook on Policing Urban Space at https://www.unodc.org/unodc/en/justice-and-prison reform/tools.html?ref=menuside and forthcoming UNODC/OHCHR Handbook on use of force and firearms in law enforcement.
[13] OHCHR's Committee on the Elimination of Racial Discrimination (CERD) issued General Recommendation XXXI on the Prevention of Racial Discrimination in the Administration and Functioning of the Criminal Justice System.

ცხოვრებაში. იგი ასევე საჭიროებს დამოკიდებულებების ცვლილებას ეთნიკურად ქართული მოსახლეობის უდიდეს ნაწილში, რომლებსაც განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის თანამოქალაქეებთან ან მეტად შეზღუდული შეხება აქვთ, ან საერთოდ არ გააჩნიათ რაიმე სახის ურთიერთობა და ამიტომ, ჯერ კიდევ მძლავრობს ამ ჯგუფების შესახებ არასწორი და ტენდენციური შეხედულებები.

ეს ყოველივე აზიანებს მართლმსაჯულების სისტემას, რადგან სისტემის წარმომადგენლები აირეკლავენ საზოგადოებრივ განწყობებს. სტერეოტიპებით გაჯერებული სამართალი მყიფეა. ის სათანადოდ მხოლოდ ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენლებს ემსახურება, რაც სისტემის მიკერძოებულობაზე მეტყველებს.

რეკომენდაციები

სისტემის ნაკლოვანებების გამოსწორებისთვის აუცილებელია, პირველ რიგში, პრობლემის აღიარება და შემდგომ საკანონმდებლო და პოლიტიკის ცვლილებისკენ მიმართული კონკრეტული რეფორმები, მათ შორის, აუცილებელია:

- მართლმსაჯულების სისტემის შეფასება ეთნიკური მიკერძოების პრობლემის სრულყოფილი იდენტიფიცირების მიზნით;
- იურიდიული პროფესიების წარმომადგენლების (ადვოკატები, ადვოკატთა თანაშემწეები, პროკურორები, პოლიციელები, მოსამართლეები) გადამზადება ეთნიკური კუთვნილების სპეციფიკის, საჭიროების გააზრების და ეთნიკურად მიუკერძოებელი მომსახურების გაწევის მიზნით. სასურველია სწავლება დაიწყოს აუცილებელი სატრენინგო მოდულის ფარგლებში.
- ადვოკატთა ასოციაციაში გაიხსნას დისკუსია ადვოკატებისა და კონსულტანტების ეთიკის და ქცევის მინიმალური წესების გადახედვის აუცილებლობის შესახებ;
- ადმინისტრაციულ, საგამოძიებო და სასამართლო საქმისწარმოებაში უზრუნველყოფილი იყოს საქმეთა ძირითადი მასალების მისაწვდომ ენაზე მომზადება და პროცესის მონაწილე მხარისთვის გადაცემა;
- აუცილებელია შეიქმნას სასამართლო და საგამოძიებო პროცესების პროფესიონალი თარჯიმნების რეესტრი ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფით;
- გარანტირებული უნდა იყოს ყველა საფეხურის ფორმალური განათლება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რაც ასევე უნდა გულისხმობდეს სახელმწიფოს სპეციალური მხარდამჭერი პროგრამების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის ზრდას სტუდენტებისთვის;
- მნიშვნელოვანია ყველა სახელმწიფო ორგანო უზრუნველყოფდეს მოქალაქეთა სათანადო ენაზე ინფორმირებას და საჯარო ინფორმაციაზე წვდომას;
- მართლმსაჯულების სისტემასა და ადმინისტრაციულ ორგანოებში აუცილებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ხვედრითი წილი;
- მნიშვნელოვანია სახელმწიფო და კერძო მედია დაწესებულებები, მათ შორის რეგიონული მედია კომპანიები, ქმნიდნენ ენობრივად მისაწვდომ და

კულტურულად მრავალფეროვან საინფორმაციო არხებს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის.